



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPAR



CENN
Shaping the Future by Changing Today



ქედის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“

ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ქედის მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის ახალ ინიციატივას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2017 წლის იანვარში და ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში.

ინიციატივის მიზანია დაეხმაროს მერებს აქტიური როლი შეასრულონ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. ინიციატივის ამბიციას გარდაიქმნას მასშტაბური ზომის პროფესიულ გაერთიანებად, რომელიც წევრებს სთავაზობს წვდომას ექსპერტულ ცოდნაზე, თანაბარუფლებიან მხარდაჭერასა და წარმატების ფართოდ გაზიარების შესაძლებლობაზე.

აღსანიშნავია, რომ ქედის მერის ბატონი ლევან გორგილაძის ინიციატივით, პროექტისთვის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცრის პოზიციაზე ნომინირებულ იქნა მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სახაზინო განყოფილების უფროსი სპეციალისტი და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ტურიზმისა და ბიზნესის განვითარების სექტორული მიმართულების კოორდინატორი რაულ ცინცაძე.

ქედის მერის თქმით *„ჩვენ მუნიციპალიტეტში მორიგ სასიამოვნო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ეკონომიკური განვითარების პარტნიორობის შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობას უზრუნველყოფს. ქედის მერიას აქვს მოლოდინი, რომ კოორდინირებული მუშაობით არაერთი სიკეთის განხორციელება იქნება შესაძლებელი, ეს იქნება გრძელვადიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შექმნა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე იქნება მიმართული. მადლობა ევროკავშირს ასეთი შესაძლებლობისთვის, ხოლო CENN-ს, დემოკრატიის ინსტიტუტსა და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს ინიციატივისათვის“.*

აღნიშნული ინიციატივაში ქედის გაწევრიანება ქმნის ახალ შესაძლებლობებს მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდისა და დონორებისგან დამატებითი მხარდაჭერის მოპოვებისთვის. ამასთან, ქედის გაწევრიანება ინიციატივაში ადგილობრივ განვითარების ჯგუფსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას შორის წარმატებული თანამშრომლობის მორიგი მაგალითია.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



CENN
Shaping the Future by Changing Today



Keda Municipality Joins the EU initiative “Mayors for Economic Growth”

Within the framework of the Keda Local Action Group initiative, Keda Municipality joined the EU initiative “Mayors for Economic Growth.”

Mayors for Economic Growth (M4EG) is a new initiative of the European Union, which began operating in January of 2017 within the framework of the Eastern Partnership.

The overall goal of the initiative is to support mayors and municipalities to be more active facilitators for economic growth and job creation at the local level. Mayors for Economic Growth has the potential to become an extensive professional network across the region, which will require certain commitments from its members as well as offer solid expert and peer-to-peer support.

It is noteworthy that with the initiative of the mayor of Keda, Mr. Levan Gorgiladze, the Chief Specialist of the municipality’s financial unit and coordinator of Tourism and Business Development sectoral direction of the Keda Local Action Group (LAG), Raul Tsintsadze, was nominated as the Local Economic Development Officer (LEDO) within the framework of M4EG.

According to the mayor of Keda, “yet another new initiative has started in our municipality, which will ensure economic development, new partnerships and efficient partnerships between local governments, and the private and civic sectors. Keda City Hall expects that the coordinated work will create more public good. This will be a long-term Local Economic Development Strategy and support the municipality’s economic growth, and the initiative will also attract new investments and other vital changes that will be utilized to improve the livelihood of Keda residents. In the name of our municipality, I want to first express our gratitude to the European Union for their support, and also to CENN, the Institute of Democracy and the Keda Local Action Group for their initiative.”

By joining the aforementioned initiative, new opportunities will be available for Keda Municipality in terms of an expanded investment portfolio and additional support from donors. Furthermore, by joining the initiative, another positive example of cooperation between the municipality and the Keda Local Action Group has been established.